ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: სამაგისტრო
პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერისტეტო ზეპირი გამოცდის (გასაუბრება)ფარგლებში მოწმდება სტუდენტის დარგობრივი ცოდნა და მოტივაცია.

კანდიდატების ინგლისური ენის კომპეტენცია (მინუმუმ *B2-1 დონე) მოწმდება შესაბამისი ტესტის საფუძველზე.

თუკი აპლიკანტი ვერ წარმოადგენს საერთაშორისო სერტიფიკატს, ან ვერ გადალახავს ინგლისური ენის ტესტის მინიმალურ ზღვარს, იგი ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს.

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატმა დაადასტურა ინგლისური ენის დონის ცოდნის შესაბამისი კომპეტენცია, იგი ზეპირ გამოცდაზე ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

ზეპირი გამოცდა-100 ქულა. (ზეპირი გამოცდა გაიმართება დარგობრივ კომისიასთან, ქართულ ენაზე).

<u>ზეპირი გამოცდა</u>
გამოცდაზე ხდება კონკურსანტის შეფასება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- აკადემიური/პროფესიული მიღწევები;
- სფეროს შესახებ დარგობრივი ბაზისური ცოდნა;
- მოტივაცია;
- კომუნიკაციის უნარი;

ზეპირი გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე. გამოცდაზე კანდიდატის საბაზისო ცოდნის გამოსავლენად დასმული იქნება კითხვები პროგრამით გათვალისწინებული საკითხების თემატიკიდან. მოტივაციის გამოვლენის მიზნით გასაუბრებისას კანდიდატმა უნდა ისაუბროს პროგრამისადმი საკუთარი ინტერესის შესახებ სამომავლო პროფესიული/კარიერული ზრდის პერსპექტივიდან. მიღწევების დასადასტურებლად კანდიდატმა უნდა წარმოაჩინოს თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი აკადემიური ან/და პროფესიული აქტივობების შედეგები.

შეფასების სისტემა
კანდიდატი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დააგროვებს 51 ქულაზე, ანუ დადებით შეფასებაზე ნაკლებ ქულას, ის გამოეთიშება კონკურსს.

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
საკითხის ცოდნა (თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		30
დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა		30

მოტივაცია	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		5

აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		5
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		5
პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან		5

აკადემიური/პროფესიული მიღწევები	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები და ა.შ.)		2
სფეროში მუშაობის გამოცდილება		2
აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		2

კომუნიკაციის უნარი	**ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
გამართული კომუნიკაციის უნარი		10
აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უნარი		4

*იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ინგლისური ენის მოთხოვნილ დონეს, იგი თავისუფლდება ენის გამოცდისგან.
ენის გამოცდისგან თავისუფლდება ასევე ის აპლიკანტი, რომელსაც დასრულებული ექნება ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.